გაზეთის ფასი:

12	თვით . .	10 მ. — კ.
11	,, . .	9 ,, 50 ,,
10	,, . .	8 ,, 75 ,,
9	,, . .	8 ,, — ,,
8	,, . .	7 ,, 25 ,,
7	,, . .	6 ,, 50 ,,
6	,, . .	6 ,, — ,,
5	,, . .	5 ,, 50 ,,
4	,, . .	4 ,, 75 ,,
3	,, . .	3 ,, 50 ,,
2	,, . .	2 ,, 75 ,,
1	,, . .	1 ,, 50 ,,

ივერია

№ 183 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 183

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1 ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

„ივერია“

პირველ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე . . . . . 5 „ 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისაა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჴღირს:

პირველ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . 2 „ 50 „

„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 3 „ —

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.)

ქუთაისში:—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათომში:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საბუნჩაში:—პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:—ანტონ კასრაძესთან.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

ილია ჭავჭავაძის ლექსები	15 კაპ.
რაჟა, სოსიკო მერკვილაძისა	20 ,,
რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა	10 ,,
სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . .	10 ,,
ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . .	7 ,,

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნებიდგან, თვითეულ გამოცემიდან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

(40—6). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის

გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქ. ქუთაისს, ბანკის სადგომში, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა იმ ბანკში უძრავ დაგირავებულ მამულთა, რომელთა პატრონთაც არ შემოუტანიათ 1-ლს იანვრის 1904 წლის მათზედ დარჩენილი გადასახადი.

ქალაქის მამულებზედ საჯარო ვაჭრობა მოჰხდება 14-ს აგვისტოს, დაბა და სოფლებისაზედ—16-ს ამავე აგვისტოს.

მეორე ვაჭრობა დანიშნულია ორთავე რიგ მამულებზედ 31-ს აგვისტოს.

შემოსატანი ფული მიიღება საჯარო ვაჭრობის დღემდე ქუთაისის ბანკის კასაში, ტფილისში—სავაჭრო (საკომერციო) ბანკში, აზოვო-დონის სავაჭრო ბანკის განყოფილებაში და ა. ფრიდონოვის ბანკის კანტორაში, ბათუმში—სამხრეთ-რუსეთის სამრეწველო ტფილისის სავაჭრო ბანკების განყოფილებებში და ფოთში—სავაჭრო ბანკში.

(3—6—2).

გამოვიდა ახალი

კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

«ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» გამგეობა ამით აცხადებს, რომ სექდემბრის პირველიდგან საჭიროა

მასწავლებელი

«საზოგადოების» სკოლისათვის სოფ. ყალამშიაში (ბორჩალ. მაზრა). მასწავლებელს ექმნება ჯამაგირი თვეში 30 მან., ბინა და შეშა. მსურველმა უნდა წარმოადგინონ თხოვნა და საჭირო დოკუმენტები «საზოგადოების» გამგეობაში, (Тифлисъ, Общество Грамотности).

(2—2).

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—ჟორდანიის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს—67 საათამდე.

ბძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა, № 5

ბაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაჩაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა, მიხეილის პროსპექტი, № 145.

დიასამიძე ალექსანდრე,—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ნ. დიასამიძე. 11—12 საათ.

ა. ტ. მუღინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

ა. ი. ბალარჯიშვილი. ბავშვებისა, 9—10 ს.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ტყეშელაშვილი.—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 11—12 ს. სამშ, ხუთშ. შაბათ.

ბრ. მ. ხოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

პ. ა. ბეიერი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჴხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

ი. ბაბანასხოვი. დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოლაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

ზ. ს. ელვი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზხერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

მ. ა. თარხანოვი. $7\frac{1}{2}$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან.

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოცი (40) ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილისათვის) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

40 ვაკანსიიდგან — 39 დანიშნულია გარედან მოსიარულებისათვის და 1 სასაზოგადოების სრულ ხარჯზე.

საზოგადოების ნახევარ ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაიხსნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე—უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, მიღებული სინოდალურ კანტორისაგან, ბ) ღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულეთ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლის თანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა,—იმათ 31 აგვისტოსთვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: **Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.**

აგვისტოს 25—31 რიცხვებში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა- 1-ს სექტემბერს სწავლა დაიწყება-დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1904—1905 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს. ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანნი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა, როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც

(17—6—17)

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

პორტ-არტურთან.—ვლადივოსტოკის ესკადრის ბრძოლა.—დაღესტნელები.—ბალტიის ესკადრა.

გენერალ-ადიუტანტ ალექსეევის დეპეშიდგან ვიცით შინაარსი გენერალ სმირნოვის მოხსენებისა, 28 ივლისის თარიღით, პორტ-არტურის შესახებ. ეს მოხსენება ნაღმოსანმა «რეშიტელნიმ» ჩიფუს მიიტანა და იქიდგან გენერალ ალექსეევს გაეგზავნა.

როგორც ამ მოხსენებიდგანა სჩანს, ბრძოლა პორტ-არტურთან ამგვარად მიმდინარეობდა.

18 ივლისს იაპონელებმა დაიჭირეს სამგლო და მწვანოვანი მთები. რუსებმა მიატოვეს ყველა ის გამაგრებული მაღლობები, რომლებიც პორტ-არტურს დიდს მანძილზე გარშემო არტყია, და თვით ციხის გალავანში მიიქცნენ, რომლითაც შემოზღუდულია პორტ-არტური ირგვლივ, 4—5 ვერსის მანძილზე. გალავანი იწყება ოქროს ქედიდგან, გადადის ვეშაპის ქედზედ (აღმოსავლეთად) და მაგიდის მთებით (ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთად) ვეფხის მთას უერთდება, ზღვის პირს.

რაკი ჯარი თვით ციხეში მოიქცა, მისი უფროსობა გენერალ-ლეიტენანტ სმირნოვმა მიიღო, როგორც პორტ-არტურის კომენდანტმა.

ერთს კვირაში იაპონელებმა სამგლო და მწვანოვან ქედებზე ციხის სანგრევი ზარბაზნები დააყენეს და 25 ივლისიდგან თვით პორტ-არტურს გალავანს აყრიან ყუმბარებს. 26 ივლისს იაპონელებმა იერიში მიიტანეს აღმოსავლეთის ფორტებზე და დიდის ბრძოლის შემდეგ აიღეს კიდეც. მამაცმა მეციხოვნეებმა წინააღმდეგობა იმიტომ თუ ვეღარ გაუწიეს, რომ მათს არტილერიას იაპონელები მთლად შემუსრავდნენ. ამ რიგად იაპონელების ხელთ იყო ორი ძლიერი ფორტი.

27 ივლისს იაპონელები ჩრდილოეთიდგან დაეცნენ პორტ-არტურს; 28-ს ისევ აღმოსავლეთიდგან დაუშინეს ყუმბარები. მაგრამ ამ ორს დღეს ვერას გახდნენ.

სწორედ ამ დღეს რუსის ესკადრამ პორტ-არტური მიატოვა და მას უკან ნამდვილი ცნობები აღარა გვაქვს.

ტოკიოდგან ერთს გერმანულ გაზეთსა სწერდნენ, ვითომც იაპონელებმა მესამე ფორტიც აიღესო, ჩრდილოეთად. თუ ეს მართალია, პორტ-არტური მეტად საშიშ მდგომარეობაში ჩავარდნილა. სწორედ ამ აზრისა არიან პორტ-არტურის შესახებ ლიაოიანშიაც, სადაც რუსის ლაშქრის უმთავრესი ბანაკია.

თვით ლიაოიანიც დიდხანს შეგვრჩება, თუ არა,—ძნელი გამოსაცნობია. მრავალი ნიშნები გვარწმუნებენ, რომ ლიაოიანს რუსის ჯარი მიატოვებს: ვაჭრები თავის საქონელს წასაღებად ამზადებენ და ეზიდებიან კიდეც, მცხოვრებლები იხიზნებიან, სასანიტარო დაწესებულებანი და მრავალგვარი საწყობები ჩრდილოეთისკენ გადააქვთ, მუკდენსა და ტელინს იქით, და სხვა.

თუმცა იაპონელებს წინმსვლელობა აღარ ემჩნევათ, მაგრამ გენერალ-კუროპატკინს თვისი აზრი შეუცვლია და ლიაოიანში ბრძოლას აღარ აპირობს. რამ შეაცვლევინა გენერალ კუროპატკინს გეგმა,—ჩვენ არ ვიცით, რადგან ომის ველიდგან მეტად ცოტა ცნობები მოდის. ეტყობა, გენერალ-კუროპატკინს ცნობები მიუღია, რომ იაპონელები მუკდენისაკენ მიდიან და მანჯურიის ლაშქარს გზა უნდა გადუჭრან. მართლაც, გარემოება, თვით საქმეთა ვითარება ომის ველზე აგულისხმიერებს იაპონელებს, რომ ერთსა და იმავე დროს ადვილად შეუძლიანთ

ლიაოიანსაც დაეცნენ და მუკდენზედაც წავიდნენ. (რუსკ. ვედ.).

—

მეტად გულქუში დღეებია... პორტ-არტურთან განუწყვეტელი ბრძოლაა. მიკადომ განაცხადა, სასურველია, პორტ-არტური 10 აგვისტომდე დამხობილი იყოს, და იაპონელები არასა ზოგვენ, არა მსხვერპლს არ გაურბიან, ოღონდ კი თავის მეფის ბრძანება შეასრულონ.

სამგლო ქედის აღების შემდეგ (8 ვერსტია პორტ-არტურიდგან), მტერმა არტილერია დააყენა და 26 აგვისტოს დაგუშანისა და სიაოგუშანის მაღლობებს, რომლებიც პორტ-არტურის აღმოსავლეთით და ჩრდილო აღმოსავლეთით არის, ყუმბარები დაუშინა და იერიში მიიტანა. იმავე ღამეს ეს სიმაგრეები აიღეს და ვეშაპის ქედიც დაიჭირეს, რომელიც ციხიდგან 3—3$^1/_2$ ვერსტის მანძილზეა. ვეშაპის ქედი გაშლილ ხეობას დასცქერის, სადაც რავდენიმე სოფელია გაშენებული. 28 ივლისს ეს ხეობა იაპონელებს სამარედ ვადაექცათ, როდესაც ფრთები ფართოდ გაშალეს და პორტ-არტურის ციხეზე იერიში მიიტანეს—დიდის ზიანით უკუ-იქცნენ და ვერას გახდნენ.

რუსის ჯარი თვით პორტ-არტურის ზღუდეებს შეეფარა და სწორედ ასეც უნდა მოქცეულიყო. წინად მრავალი მაღლობების დასაცველად პორტ-არტურის მოშორებით მეციხოვნენი იძულებულ იყვნენ ირგვლივ დიდს მანძილზედ გაწვრივებულიყვნენ ფორტებსა და სანგაროებთან. ამრიგად ჯარი სულ გაფანტული იყო და ზოგ ადგილს უმრავლეს მტერს წინააღმდეგობას ვერ უწევდა. ეხლა კი მეციხოვნეებმა თავი მოიყარეს პორტ-არტურის ზღუდეთა შორის და ყველა მხარეს მტერს მტკიცედ დაუხვდებიან, მით უმეტეს, რომ ეს ზღუდეები სამაგალითოდ არის გამაგრებული. ეხლა შესაძლებელია მეციხოვნენი რიგ-რიგად შეასვენონ, სათადარიგო რაზმებად დაჰყონ და იქათ მიაშველონ, სადაც საჭიროება მოითხოვს (რუს. სლოვო).

—

ადმირალი კამიმურა თავის მოხსენებაში, სხვათა შორის, ამბობს ესკადრების ბრძოლის შესახებ: ჩვენ დავეცით «რიურიკს», რომელიც უფრო ნელა მოსიარულე, ვიდრე «როსსია» და «გრომობოი». «რიურიკი» გავიცალკევეთ. სხვა კრეისერები ხან დაგვიახლოვდებოდნენ, რომ «რიურიკასთვის» მოეშორებინეთ, ხან გაგვშორდებოდნენ, როდესაც ჩვენი ყუმბარები იმათამდე მიაღწევდა. ჩვენ ამით ვასარგებლეთ დი ყველა კრეისერები ძალიან დავუზიანეთ. ბოლოს „რიურიკს“ წინააღმდეგობა აღარ შეეძლო, ცეცხლი ჩაქრა და თვით გემი მარცხენა გვერდზე გადიხარა. „როსსია“ და «გრომობოიმ» თავი დაანებეს და გაჩქარებით წავიდნენ. იმ დროს ჯავშნიანი კრეისერები «ივატე», «იცუმო», «ტოკიო» და «აცუმა» გამოუდგნენ, ხოლო ღამის მეთერთმეტე საათზე უკან დაბრუნდნენ. «რიურიკი» იმ დროს დაღუპული იყო. მე საჩქაროდ განკარგულება მოვახდინე, რომ მეზღვაურნი, გადმოგვესხა და 600 კაცის გადარჩენა მოვახერხეთ. ჩვენი გემებიც დაზიანდა, მხოლოდ მსუბუქად. (რ. ს.).

—

დაღუპულ «რიურიკზე» 26 დიდი ზარბაზანი იყო. (რ. ვ.).

—

სინმინტინის ჩრდილო-აღმოსავლეთად 1,000 ყაზახი ხუნხუზებს სდევნის, მაგრამ მაინც ვერ გაუფანტნია. ხუნხუზები ჩრდილო-ჩინეთის რკინის გზას აფუჭებენ. (ნ. ვ.).

—

გენერალ კუროპატკინმა დაათვალიერა დაღესტნელების პოლკი და შემდეგი სიტყვა უთხრა: იაპონელი ძლიერ თავგამოდებული, მამაცი მტერია და პატივისცემის ღირსია. მისი შემუსვრა ადვილი არ არის და ძალიან კი უნდა ეცადოთ. ის კარგად არის მოწყობილ-შეიარაღებული, მთაში სიარული ეადვილება, თავისი განსაკუთრებული ტაქტიკა აქვს, რომელიც ევროპიელმა არ იცის. ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი პოლკი, როგორც მთა-ადგილის მცხოვრებთაგან შემდგარი, იმედს გამიმართლებს და მტრის წინააღმდეგ ყოჩაღად იმოქმედებს. «არც მე, არც თქვენ და არც სხვა ვინმე აქ ლაშქრობიდგან შინ ველარ დაბრუნდება, ვიდრე მტერს არ შევმუსრავთ,— სთქვა ბოლოს გენერალმა, გამოეშვიდობა აფიცრებს და თავის ვაგონისკენ გაბრუნდა. დაღესტნელები დაედევნენ, ქუდებს მაღლა ისროდნენ და «ურას» დასძახოდნენ. კავკასიურ ნაციონალურმა მუსიკამ «ლეკური» დაუკრა. ჩერქეზები კოხტად დაცქრიალებდნენ და გენერალი ვაგონამდე მხიარულად მიაცილეს. (იუჟ. კრ.).

—

კონტრ-ადმირალი როჟდესტვენსკი 1 აგვისტოს პეტერბურგიდგან კრონშტადტს მივიდა ორთქლმავალ «ონეგით» და შემდეგ საესკადრო ჯავშნოსან «კნიაზ სუვოროვზე» გადვიდა, რომელზედაც ესკადრის უფროსის ბაირაღი აფრიალდა. ყველა გემებმა, რომლებიც ნავსადგურში იყვნენ, ბაირაღს პატივი სცეს ზარბაზნის სროლით. შემდეგ, ფლოტის უფროსის ბრძანებით, დიდ ოკეანეს მეორე ესკადრამ ნიშანი მისცა: «აკურთხოს უფალმა ღმერთმა თქვენი მგზავრობა და აღამაღლოს პატივი და დიდება რუსეთისა, რომელიც თქვენ გენდობათ, იყავით მტკიცე, გულადი და მხნე». ამაზედ «კნიაზ სუვოროვიდგან» ნიშნითვე უპასუხეს: გულითად მადლობას გიძღვნით. («კოტლინი»).

ტფილისი

—

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარემ აცნობა ტფილ. გუბერნატორს, რომ იმათი საქმე, რომელთაც პასუხის გებაში მისცემენ სანიტარულ წესების დარღვევის გამო, ამიერიდგან რიგს გარეშე იქმნება განხილული. ოლქის სასამართლოს თავმჯდომარემ ეს განკარგულება უკვე აცნობა ყველა მომრიგებელ სასამართლოს ნაწილებს ტფილ. საოლქო სასამართლოს ოლქში.

⁂ შინაგან საქმეთა მინისტრის ამ წლის 25 თებერვლის ცირკულიარით, იმ სათადარიგო კაცთა ოჯახებს, რომელნიც გაწვეულ იქმნენ მომქმედ ჯარში და რომელნიც ომში დაღუპულან ან დაჭრილან და ან უნუგეშოდ დაკოდილან, დაუყოვნებლივ შემწეობა აღმოუჩინოს. ამ აზრით კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიის საბჭომ ამავე კანცელარიის დირექტორის განკარგულებაში გადასდო 10,000 მან., რომელიც დაურიგდებათ მთხოვნელთ ადგილობრივ სათანადო მთავრობათა პირველ მოთხოვნილებისთანავე.

⁂ ტფილ. სახაზინო თეატრში მომავალს 1904—1905 წლის სეზონში, როგორც „ნოვ. ობოზ.“-ს გაუგია, მიუწვევიათ, სხვათა შორის, მეცცო-სოპრანო ქ-ნი კარრი და ბარიტონი ბ-ნი პოლტიანოვი. ოპერის დირიჟორებად მოწვეულნი არიან ბ-ნნი მიკლაშევსკი და ვიხნევალდი.

⁂ ქალაქის გამგეობამ აცნობა ტფილ. გუბერნატორს, რომ ბორის საფარევიჩსა, მიხეილ ბელოუსოვისა და მიხეილ შაპოვალოვის ოჯახებს ქალაქის გამგეობამ სახლები დაუქირავა, შეშა და ნავთი უფასოთ. საფარევიჩი, ბელოუსოვი და შაპოვალოვი გაიწვიეს მანჯურიის მომქმედ ჯარში.

⁂ «კავკაზს» შეუტყვია, რომ სექტემბერში განძრახულია მარიამ მაგდალინელის თავ-შესაფარის დამაარსებელთა კრება. ამ საზოგადოების წესდება უკვე კარგა ხანია დამტკიცებულია.

⁂ ტფილ. მოქალაქეთა რწმუნებულების კრებამ დაადგინა, მოხარჯეთა სიიდგან გამორიცხულ იქმნას ალ. დიმ. ჯაფარიძე, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში აპირებს სწავლის განგრძობას.

⁂ წითელის ჯვრის კავკასიის განყოფილების საოლქო სამმართველო გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი: «რევიზიის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ ამ წლის 1-ლ ივლისისათვის ამ სამმართველოს კასაში იყო 215,114 მან. 37 კაპ; ივლისის განმავლობაში შემოსულა 16 მან. 65 კაპ., ხოლო დახარჯულა — 934 მან. 36 კაპ. და პირველ აგვისტოსათვის კასაში ყოფილა 214,196 მან. 66 კაპ., აქედგან სარგებლიან ქაღალდებით ყოფილა — 212,000 მან., მიმდინარე ანგარიშებით—1,873 მ., სახელმწიფო ბანკის შემნახველ კასის წიგნებით—149 მან. 21 კაპ. და წითელ ჯვრის საზოგადოების კასაში ნაღდ ფულად—174 მან. 45 კაპ.».

⁂ ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: «როგორც მთელმა ტფილისმა იცის, დიდის ხნიდგანვე მდინარე მტკვრიდგან გაყვანილია არხი მიხეილის პროსპექტამდე ბაღების სარწყავად, მაგრამ წყალი ამ არხზე სრულიად აღარ მომდინარეობს და ამიტომ ამ ქუჩაზედ გაშენებული ბაღები უწყლოდა ხმება ამ სიცხეში და წყლის გამოსაყვანათ კი ჩვენ, ბაღების პატრონები და მოიჯარადრეები ამ ბაღებისა, ვიხდით სრულს გადასახადს წესიერად და მაინც წყალს ვერა ვხედავთ ამ არხში მთელის ზაფხულის განმავლობაში. ჩვენის აზრით ეს ჰხდება იმიტომ, რომ ჩვენ მთელის წლის განმავლობაში არ გვინახამს უფროსი არხისა, ან იმისი ამხანაგი. თუ რომ არხი არ ვარგა, მაშინ მოვალენი არიან, როგორც რიგია, გასწმინდონ და შეაკეთონ; ხოლო რაც შეეხება ჩვენს ბაღებში მოუსავლობის გამო ზარალს, ვთხოვთ მიაქციონ ყურადღება, ვისიც ჯერ არს, ან და კიდევ დანიშნონ ამ საქმისათვის მოსამართლენი და გამოცდილი ექსპერტები».

ხელს აწერენ ბაღის პატრონები, მოიჯარადრენი და მებაღენი, სულ თორმეტი კაცი*).

⁂ საზოგადო საქმეთა დეპარტამენტმა მოსწერა ტფ. გუბერნატორს, დააჩქაროს ცნობის გაგზავნა იმათ შესახებ, რომელნიც შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყების დაწესებულებებში ამა თუ იმ თანამდებობაზედ აურჩევიათ და ან დაუქირავებიათ. ეს ცნობები იმიტომაა საჭირო, რომ, როგორც ამას წინად ვწერდით, ხსენებულ თანამდებობის კაცთ მინიჭოსთ სახელმწიფო სამსახურის უფლებანი, რომელიც კავკასიის შესახებ გამოცემულ კანონებშია მოხსენებული. გუბერნატორმა უნდა უამბოს ხსენებულ დეპარტამენტს, თუ კავკასიაში რამდენი კაცი მსახურებს ასეთს თანამდებობაზედ.

საქართველოს ამბები

—

⁂ ქუთაისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში განმეორებითი ეგზამენები მოჰხდება 23—26 აგვისტოს, ხოლო მისაღები ეგზამენები მოსამზადებელსა და პირველ კლასებში—26 აგვისტოს, დანარჩენს კლასებში კი, თუ ვაკანსიები აღმოჩნდა, 27-სა და 28 აგვისტოს. თხოვნები მიიღება 24 აგვისტომდე.

⁂ ახლად დაარსებული დედათა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება «შრომა», შუამდგომლობს, ნება მიეცეს, დაარსოს ქუთაისში სპეციალური სკოლა მეოჯახეობისა ხუთის წლის კურსით.

⁂ ტფ. გუბერნატორმა ნება დართო პროვიზორს მდივანს, დააარსოს გორის მაზრის სოფ. ახალქალაქში აფთიაქი.

⁂ თელავის მაზრის უფროსმა აცნობა ტფილისის გუბერნატორს, რომ «საყარაულოს» მიდამოებში საქონლის ჭირი გაჩნდაო.

⁂ 6 აგვისტოს ავჭალაში დაიხრჩო მტკვარში ბანაობის დროს ტფ. სავაჭრო სკოლის მოწაფე ალექსანდრე არუთინოვი.

⁂ რიონიდგან «ცნ. ფურც.»-ს ატყობინებენ, რომ სახალხო მატარებელში 6 აგვისტოს გარდაცვლილა მღვდელი გაბრიელ დარჩია, რომელიც ტყვიით ყოფილა დაჭრილი და ქუთაისის საავადმყოფოში მიჰყავდათ.

⁂ ახალქალაქის მაზრის უფროსი აცნობებს ტფ. გუბერნატორს, რომ 29 ივლისს მოსულმა სეტყვამ გაანადგურა ნათესობა სოფ. ნოჯაბეკსა, დიდ-ხანჩალსა, მამზარასა და ჯიგრაშენში (ბოგდანოვის საპოლიციო ნაწილში). სეტყვისაგან სულ დაზარალებულა 1,200 დესეტინა ადგილი. ზარალი 60,000 მანეთამდეა.

⁂ ახალქალაქის მაზრის უფროსმა შეატყობინა ტფ. გუბერნატორს, რომ სოფ. ხერთვისში საქონლის ჭირი მოისპო და კარანტინი გაუქმებულ იქმნა.

⁂ ახალციხის მაზრის უფროსი ატყობინებს ტფ. გუბერნატორს, რომ ახალციხის მაზრის «დურუნდის» მიდამოებში და სოფ. ზურზელისა, გობიეთისა და ჩაბარეთის მცხოვრებთა საძოვარ ადგილებში საქონლის ჭირი გაჩნდაო.

⁂ კვირას, 8 აგვისტოს, სურამში სხდომა ჰქონდა იქაურ სასანიტარო კომისიას ზოგიერთ საჭირო ღონისძიებათა მისაღებად და სასანიტარო კომისიის თავმჯდომარის ამოსარჩევად, რადგანაც სურამში საზაფხულოდ მდგომი მე-65 სარეზერვო ბრიგადა 11 აგვისტოდგან ტფილისის მახლობლად გადმოდის საადგომოდ და დღემდე კი ამ ბრიგადის უფროსი, გენერალ-მაიორი ვასილიევი, იყო სასანიტარო კომისიის თავმჯდომარედ სურამში.

⁂ საჯევახოდგან გვატყობინებენ, რომ ქუთაისის მაზრის სოფ. აბაშაში საქონლის ჭირი გაჩნდაო.

⁂ 7 აგვისტოდგან, მოქმედებს დაიწყო ქუთაისში ს. ბ. თოფურიასეულმა სამკურნალომ და ამბულატორიამ. სამკურნალო მოთავსებული იქმნება განსვენებულ სამსონ თოფურიას სახლში. სამკურნალოს საქმეებს ქუთაისის ქალაქის გამგეობა აწარმოებს.

მაჭარლის პირი. (აჭარა). აქამდე, ქართველ მაჰმადიანებში, ოსმალეთიდამ და არშეთიდამ ჩუმათ სხვა-და-სხვა საიდუმლო მოლები, ხოჯები და სუნეტები ხშირად მოდიოდნენ და გადასახლებაზედ ხშირად ლაპარაკობდნენ. ასეთ სტუმრებისაგან თემს ხშირად დიდი ზარალიც მოსდიოდათ და სულ ამათი წყალობა იყო, რომ 1902 წ. შავშეთიდამ და ერუშეთიდამ 800 კაცზედ მეტი გაიქცა ოსმალეთში.

ეხლა კი ასეთ უცხოელ მოგზაურთა რიცხვს ძრიელ უკლია, თითქმის შესუსტებულა. ისე ხშირად აქ აღარავინ მოდის და ვეღარც საფანატიკო პროკლამაციები გადმოაქვსთ თურმე. ერთად ერთი შემთხვევა იყო,—რომ ამას წინად ერთი არაბი ვნახეთ, არაბისტანიდამ მოსული აჭარაში, მაგრამ ესეც ხმას არ იღებდა, რადგანაც ნიადაგი ისეთი აღარ დახვდა როგორც წინად იყო.

აჭარელმა სასულიერო წოდებამ ეს ამბები კარგად იცის და ამიტომ იგინი მრევლზედ გაბრაზებულიც არიან, ჯამეში თურმე ხშირად ჰქადაგებენ კიდევაც, მაგრამ საქმით კი ვერას აწყობენ, რადგანაც უმნიშვნელო ფანატიკობის ქადაგებას საძირკველი გამოეთხარა. ქართველ მაჰმადიანებიც ფანატიკს ხოჯებს აღარ უგონებენ და ისეთ საგნების შესწავლას მისდევენ, რაც მათ ცხოვრებაში გამოადგებათ.

მავშეთელი.

უცხოეთი

—

რომი. (საკუთარის კორესპონდენტისაგან). „ცნობის ფურცელმა“ თავის ფელეტონში, №. 2541 დაბეჭდა „წერილები პარიჟიდგან“ შესახებ რომის პაპისა და საფრანგეთის მთავრობის უთანხმოებისა. ამ წერილში სიმართლე და ჭეშმარიტება ბევრგან დამახინჯებულია და, რაც მოუყვანია, ყველა აზრები ავტორს გამოუკრებია რომის მოწინააღმდეგე დასთა ჟურნალ გაზეთებიდგან, რომლის რედაქტორებადაც არიან სოციალ-ანარქისტები, არიტესტანტ-ფრამასონები, ერთის სიტყვით, უკიდურესი ლიბერალები. ყველამ ვიცით, რომ ამ დასების მეცადინეობა ის არის, მთლად დაამხონ ქრისტეს ეკლესია და ღვთის ხსენება ქვეყანაზე მოსპონ, რის გამო იძულებულნი არიან პაპს ყველანაირი ცილი დასწამონ, ყველა დანაშაულობა მას მიაწერონ, რათა მით როგორმე გაამართლონ-გააკანონიერონ თავიანთი ანტექრისტური მოქცევა. ხსენებული წერილის ივტორიც აჰყოლა ამ ბატონების ფეხის-ხმას და თავისი დანასკვნი გამოჰყავს ისე, როგორც შეუსწავლია ხსენებულ ლიბერალთ ჟურნალ-გაზეთებიდან. თუ მართლა ამ ავტორს სურდა მკითხველთათვის გაეცნო რაც მოხდა, ანუ მომხდარი ვატიკნისა და საფრანგეთის მთავრობის შუა, მიუცილებლად საჭირო იყო, შეკითხებოდა ვატიკნის მხრის გაზეთებსაც, რათა დამყარებულს ორთავე მხრის საბუთებზე, თავისი აზრი ისე გამოეთქვა. გარნა ავტორმა ამ საზოგადო მსჯელობის გზას აუხვია, მარტო მოწინაალმდეგე ლიბერალთა დასს მოუსმინა, მათი სიტყვანი უტყუარ ჭეშმარიტებად მიიღო და თავისი წერილი თავიდამ ბოლომდინ ცრუ და უსამართლო აზრებით გაავსო. მაგ. აი მისი წერილის შესავალი: „მით უფრო მოსალოდნელია ეს განშორება, რომ უთანხმოების ჩამომგდები მიზეზი დაჰბადა იმ წმინდა საყდრსა *) მჯდომარემ, რომლისაგან მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო მარტოოდენ მშვიდობა და თანხმობაო“. ესე ყველა ცხადზედ-უცხადესი სიცრუეა და ცილის წამება, რადგან მხოლოდ ამისი წინააღმდეგია ნამდვილი და ჭეშმარიტი. ვინაიდგან უთანხმოების მიზეზი წმიდა საყდარმა კი-არ დაჰბადა, არამედ საფრანგეთის მთავრობამ. წმიდა საყდარი ბევრი ეცადა, ბევრი შეურაცხყოფაც დაითმინა, მაგრამ მაინც ვერას გზით ვერ მოარბილა საფრანგეთის მთავრობის გული, სიმძულვარით განძვინებული. ეგრეთვე, არა თუ წმიდა საყდარმა, არამედ თვით საფრანგეთის მთავრობამ არა ერთხელ აგრძნობინა წმიდა საყდარსა—შენთან კავშირის გაწყვეტა მწადიანო, მხოლოდ ხელ-ჩასაჭიდ მიზეზს ვეძებო. ეს ბევრ გზის დაუმტკიცა საქმით. ამის გამო იძულებულნი ვართ ავტორის წერილში მოყვანილი სიცრუის წინააღმდეგი ჭეშმარიტება ვუჩვენოთ მოკლედ ნამდვილის საბუთებით.

საფრანგეთი თუ როდისმე ყოფილა სხვა ქვეყნების წინამძღვრად და გზის მაჩვენებლად, იმიტომ კი არ ყოფილა, რომ მას თავი გამოეხსნას კლერიკალიზმის ბასრის კლანჭებისგან. სრულებითაც არა! საფრანგეთმა პირველი ადგილი დაიჭირა იმიტომ, რომ იგი თითქმის მუდამ ერთგული იყო ეკლესიისა, და, ქრისტიანებრივის პრინციპების ხელ-მძღვანელობით თვით ნათლდებოდა. გარდა ცოტა შემთხვევისა, საფრანგეთს თითქმის დაუმსახურებია სახელ-წოდება ეკლესიის პირმშო ასულისა (La Fille aînée de li Eglise). ამას ათასნაირი ფაქტი მოწმობს და ცხადად ღაღადებს მისი ისტორია, მეტადრე ის, რომლის ტიტულია: «Gesta Dei per Ferancos—ღვთის მოქმედებანი ფრანგთა მიერ». ახლა თუ საფრანგეთი სცდილობს კლერიკალიზმისგან თავი დაიხსნას და მთლად გაერისკაცდეს, მით იგი კი აღარ გახდება, ანუ დარჩება სხვა ქვეყანათა წინამძღვარი და გზის მაჩვენებელი, როგორც წერილის ავტორს ესიზმრება, არამედ შეიქმნება წინამძღვარი მხოლოდ სოციალისტ-ანარხისტებისა, რომლებისათვისაც აღარც ღმერთი და სინიდისი და სამართალია. ცხადად ვხედავთ, რომ ამ რიგობით საფრანგეთი ეხლავე ეცემა ზნეობრივად და ჰკარგავს, მეტადრე აღმოსავლეთში, იმ უპირატესობას, რომელიც, რავდენიმე საუკუნის აქეთ, მოხვეჭილი ჰქონდა.

ავტორს თავის წერილში ნაპოლეონი მესამე გამოჰყავს «პაპის ყურ-მოჭრილ ყმად და კლერიკალთა ფეხის ხმის აყოლად», რის გამო კლერიკალიზმს აბრალებს საფრანგეთის 1870 წლის დამარცხებას პრუსიელებისაგან. ესრეთი მოსაზრება ცხადი სიცრუე და ჭეშმარიტების წინააღმდეგია. ვინაიდგან მრავალ-ნაირი ფაქტი და ისტორია ამის წინააღმდეგ ღაღადებენ. ისე ჰვავს, ავტორს არც კი სმენია ნაპოლეონის შესახებ ისტორიები, სხვათა შორის, მისი თანამედროვე კარდინალ პიის დაწერილი, სადაც მოყვანილია ყველა კორესპონდეციები და დოკუმენტები შესახებ ნაპოლეონ მესამისა. ამ წერილებიდგან ცხადად მტკიცდება, რომ მან ბევრ გზით უჩვენა თავისი ურჩობა, დაივიწყა თავისი მოვალეობა ეკლესიისადმი, როგორც კათოლიკე ხელმწიფემ და ხშირად მის წინააღმდეგ მოიქცა, რაოდენათაც და როდესაც კი შეეძლო. თვით ამ ნაპოლეონმა და თვით 1870 წ., რასაც უარყოფს წერილის ავტორი, განაშორა თავისი ჯარი რომიდან და მოულოდნელად დასტოვა პაპი, მოკლებული ყოველ შემწეობას; რის გამო იმავე დროს შეიდნენ იტალიელნი რომში და ჩამოართვეს პაპს საქვეყნიერო მთავრობა. ამ მოქმედებას სასყიდლად ნაპოლეონმა მაშინ იხმია სედანში დიდი დამარცხება, როცა თვით ტყვედ ჩაუვარდა პრუსიელებს. გარდა ამისა მთელი ქვეყნისათვის ცხადია და თვით პატარა ბავშმაც კი იცის, რომ საფრანგეთი ამ ომში გასცა გენერალმა ბაზენმა, უკეთუ წერილის ავტორს ამ გენერლის რომელსამე ბიოგრაფიაში ჩაეხედა, ყველგან ამას ამოიკითხავდა: «Bazaine, maréchal, chargé en 1870—71 de la défense de Metz, trahit sa patrie en rendant ceffe place aux Prussiens—მარშალმა ბაზენმა, რომლისადმი მინდობილი იყო 1860—71 მეცის დაცვა, უღალატა თავის სამშობლოს, რადგან ეს სიმაგრე დაუთმო პრუსიელებსო. აბა აქ რა შუაშია ან კლერიკალიზმი ან ნაპოლეონის ყურ-მოჭრილი ყმობა

---

*) ამ წერილის დედანი რედაქციაში ინახება. რედ.

*) მდაბიურად ტახტი. თქმულია: დიდების საყდარსა მჯდომა. რედ.

პაპისადმი; უკეთუ ნაპოლეონს მართლა პაპის ერთგულება გამოეჩინა, თავის მოვალეობისათვის არ ეღალატნა და რომიდან ჯარი არ გაეშორებინა, ვიქტორ ემანუელი, იტალიის მეფე, ვერას დროს გაბედავდა რომში შესვლას და მის დაპყრობას. ყოველნაირი ფაქტი ღაღადებს ავტორის მოყვანილი აზრების წინააღმდეგ.

გამოვიძიოთ ახლა ავტორის ის აზრი, რომ ამბობს: «უთანხმოების ჩამოგდების მიზეზი დაჰბადა რომის წმიდა ტახტმაო*). ეს აზრი არა მარტო ცრუა, არამედ დიდად უსამართლო და ცხადი ცილის წამებაა, რადგან რომის საყდარი ყოველნაირად ეცადა და ბევრი შეურაცხყოფაც დაითმინა, რათა უთანხმოება არ დაბადებულიყო და კავშირიც არ შეწყვეტილიყო, რამაც მთელი ქვეყნის ყურადღება მიიქცია. რადგან ავტორმა თავის წერილში ლიბერალ-სოციალისტია გაზეთების წყალობით, მთლად გაამშავა რომის პაპი და გამოიყვანა იგი თავის პირობის დამრღვევად, მშვიდობიანობის მტრად და საქმეების ამრევ-დამრევად, ამისათვის სიმართლე მოითხოვს პატივსან მკითხველთ მოკლედ გავაცნოთ ამ გარემოების თავი და ბოლო, რათა ცხადად დაიხატოს მოწინააღმდეგეთა უსამართლობა.

დღევანდელი უთანხმოების მიზეზი უნდა ვეძიოთ ლუბეს რომის ვიზიტში-კი არა, როგორც წერილის ავტორს ჰგონია, არამედ იმ დროში, როცა დღევანდელი მთავარი მინისტრი ქომბი მინისტრად დაინიშნა. ეს რა გახდა მინისტრი, თავისი ამხანაგებით მოიქცა ისე, როგორც კაიფა და მისი თანამედროვე მღვდელთ-მთავრები, რომელთაც «ზრახუა ჰყუჩს, რათა იესო ზაკვთ შეიპყრან და მოჰკლან». (მათე, თავა 26, მუხლი 4). ამ ქომბმაც იმ დღიდანვე გადასწვიტა ზაკვით ქრისტეს ეკკლესიისთვის ბოლო მოეღო საფრანგეთში. ეს კატეგორიულად შეჰპირდა და სიტყვა მისცა თავის ამხანაგთ-ფრამასონ — ლიბერალ-დემოკრატებს. გაზეთმა «Radical»-მა ივლისის 31, ამ საგნის შესახებ, ცხადად აღიარა, ქომბესი დემოკრატებისადმი თავის მიცემულს სიტყვას იცავსო. იმ დღიდან დაუწყო ეკკლესიას საშინელი ომი. ჯერ ხომ დაეტაკა უძლურ მოღოზნებს და დაუკეტა ეგოდენი აუარებელი სკოლები; შემდგომ მისდგა ბერ-მონაზონებს იმ მიზეზით, რომ ვითომ ხშირად ეპისკოპოზთა ხელისუფლებას ითვისებენო, რისგამო ეპისკოპოსები უკმაყოფილო არიანო, საჭიროა ამათ ალვირი ამოედვასო. ამისთვის შეადგინა ახალი კანონი, ეგრედ წოდებული La d'Associaliou მონაზონთა კრების შესახებ, რომლითაც განუსაზღვრა ბევრნაირი პირობა, ძნელად შესასრულებელი. რომელ მონაზონებსაც ეს პირობები არ ექმნებოდათ, იმათ მთავრობა ავტორიზაციას (ნებართვას) არ მისცემდა, და მთავრობის უავტორიზაციოთ მონაზონებს საფრანგეთში დგომა აღარ შეეძლოთ. ბევრი მონაზონები ეცადნენ, დადგნენ ყველა იმ პირობებში როგორათაც ეს ახალი და მტრული კანონი მოითხოვდა და წარუდგინეს მთავრობას თავიანთი კრებათა ავტორიზაციის თხოვნა, რასაც არ მოელოდა ქომბი ახალი კანონის გამოცემის დროს. მიუხედავად ამ თავისი გამოცემული კანონისა, ქომბმა არც ერთი თხოვნა შეიწყნარა და მოსპო ყველა მონაზონთა წესი, რომელიც წინეთ მთავრობისგან ცნობილი და დამტკიცებული არ იყვნენ; ამნაირად მიითვისა ყველა მათი ქონება და ათასობით იძულებული ჰყო საზღვარ გარეთ წასულიყვნენ. ყველა ეს მისი მოქმედება თვითეული შეადგენდა ეგოდენს საბუთს, რისგამო პაპს თავისი ელჩი უკან მოეწოდებინა და საფრანგეთთან ყოველი კავშირი შეეწყვიტა. გარნა პაპმა, უდიდესი სიბოროტის ასაცილებლად, ყველა ეს დევნულება დაითმინა.

(დასასრული იქნება)

რუსეთი

თანხმად უმაღლესის ბრძანებისა, რომელიც უმართებულესს სენატს გამოეცხადა, სახელმწიფო ხაზინა გამოსცემს ექვსის რიგის (სერიის) ბილეთებს; თითო რიგში იქნება 25.000,000 მანეთის ბილეთი, ანუ სულ 150.000,000 მანათისა. ვადა ამ ბილეთების გამოსყიდვისა 4 წელიწადია. თითო ბილეთი 50 მანეთიანი იქნება; წლიური სარგებელი 3,6%. სარგებელი იანგარიშება 1 აგვისტოდგან 1904 წლისა. ამ ბილეთების შემოსავალიდგან თანხათა გარდასახადს არ გამორიცხვენ ხაზინის სასარგებლოდ.

თეატრი და ხელოვნება

ოთხშაბათს, 4 აგვისტოს, მეორე კრება ჰქონდათ იმათ, რომელთაც განიზრახეს ამხანაგობის დაარსება მომავალ სეზონში ქართულ წარმოდგენების გასამართავად. ამხანაგობაში წევრად ჩაეწერა 35 კაცი. საწევრო ფული 50 მანეთია, რომლის გადახდაც შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც. კრებამ განიხილა პროექტი პირობებისა თეატრის დაქირავების და ურთიერთ-შორის ხელშეკრულობის შესახებ და აარჩია სამი კაცი (ზ. ერისთავი, შიო დავითიშვილი, და ლევ. გაბაშვილი) საწევრო ფულის შესაგროვებლად. კრებამ გადასწყვიტა, გარდერობი და პიესები, რომელსაც შეიძენს ამხანაგობა სეზონის განმავლობაში, გადასცეს სრულს საკუთრებად ქართულ დრამატიულ საზოგადოებას. საზოგადოებისავე სასარგებლოდ გადაიდება, თუ რამ მოგება დარჩება ამხანაგობას. შემდეგ კრებამ მოისმინა მოხსენება სარეპერტუარო კომისიისა. კომისიის აზრით, ხუთშაბათობით აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იქმნას სრულიად ახალი პიესები. კომისიამ წარუდგინა კრებას სია 30 ახალის პიესისა, რომელთა წარმოდგენაც მიაჩნიათ საჭიროდ. პიესებში ზოგი უკვე გადმოთარგმნილია, ზოგი-კი უნდა გადმოითარგმნოს. პიესების არჩევის დროს განსაკუთრებელი ყურადღება აქვს მიქცეული იდეიურ პიესებს. 7—8 ორიგინალური იქმნება, დანარჩენი-კი თარგმანი. კრებამ მოიწონა კომისიის მოხსენება და დაავალა, მოიწვიონ მთარგმნელნი უცხოენიდან პიესების გადმოსათარგმნელად. კრებამ მოილაპარაკა აგრეთვე სეზონის დაწყების შესახებაც. წარმოდგენები დაიწყება 20 სეკდემბერს, ხოლო რეპეტიციები—ერთის თვის წინ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

7 აგვისტო.

ირკუტსკი. გზათა მინისტრი თავადი ხილკოვი დღეს ბაიკალისკენ წავიდა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. იარმუკის ვაჭრებმა დეპეშა გაუგზავნეს კუროპატკინს და უსურვეს რუსის ჯარს ახალი გამარჯვებანი. ამასთან ვაჭრებმა გაუგზავნეს 10 ათასი მანეთი მეომართა საჭიროებისათვის.

ტოკიო. (რეიტერი.) ოფიციალურ დეპეშაში ნათქვამია: «რუსებმა გადაარჩინეს თავიანთ საზღვაო ნავის «ოტვაჟნის» მეზღვაურნი. ეს ნავი პორტ-არტურთან ჩაძირა».

ადმირალი კამიმურა იწყება: ვლადივოსტოკის ესკადრსთან ბრძოლის დროს ისე ვმოქმედებდი და იმნაირად ვამწკრივებდი ჩემს გემებს, რომ მზე ყოველთვის ზურგს უკან გვქონოდა; ამის გამო ჩვენის ზარბაზნების მსროლელებმა დიდი მხნეობა გამოიჩინესო. კამიმურა ძალიან აქებს რუსების გმირულ სიმამაცეს, აგრეთვე მზრუნველობას დაჭრილთათვის, რომელთა შორისაც რამდენიმე კაცი უხელო და უფეხო ყოფილა. ვიდრე რუსთა გემი «რიურიკი» ჩაიძირებოდა, რუსებმა დაჭრილნი ფიცრებზე მიაბეს და ზღვაში ჩაუშვეს.

ჩიფუ. (რეიტერი). აქ მოსულ გემს «პეჩილი»-ს დაჰხვდა იაპონიის შვიდი კონტრ-ნაღმოსანი, რომელნიც გუშინ ჩიფუს მახლობლად იყვნენ. იაპონელნი დაეძებენ რუსის ნაღმოსნებს, რომელთაც მოახერხეს პორტ-არტურიდან წასვლა. ამბავი მოვიდა, რომ იაპონელები საერთო იერიშს ხმელეთიდან პორტ-არტურზე 6 აგვისტოს მიიტანენო. პორტ-არტურში დაბრუნებულ რუსთა გემების აფიცერნი ამბობენ, რომ იაპონელთა ჯავშნიანი გემი «მიკაზა» ჩაიძირა 28 ივლისის ბრძოლის დროსაო.—რუსთა ეკლესია პორტ-არტურში დანგრეულია.—ფუგასების ასაფეთქებლად იაპონელები ღამე საქონელს ერეკებიან იმ ადგილებსე, სადაც ნაღმებია ჩაწყობილი. ამ ხერხს ის შედეგი მოჰყვა, რომ პორტ-არტურის მეციხოვნეთ ახალი ხორცი და საკმაო სურსათი შეიძინეს.—რუსები ამბობენ, იაპონელები ნაკლებად სარგებლობენ ამას წინად აღებულ დაგუშანით, რადგან ყუმბარების წყალობით მალ-მალ უხდებათ პოზიციების ცვლა, იაპონელებმა ვერ შესძლეს დაგუშანზე ზარბაზნების დადგმაო. — როგორც პორტ-არტურიდან მოსული ჩინელები ამბობენ, იაპონელებს ხმელეთიდან იერიში მიუტანიათ პორტ-არტურზე 4 და 5 აგვისტოს. რუსთა ნაღმების აფეთქებისაგან ცეცხლის მთელი სვეტები დამდგარა. იაპონელებს ამ ბოლოს დროს ისე უზარალნიათ, რომ იძულებული გამხდარან კუროკისა და ოკუს ლაშქრებიდგან ახალი ჯარი მიშველებინათ იმ ჯარისთვის, რომელიც გარს არტყია პორტ-არტურს. ამ ლაშქართა ნაწილი პორტ-არტურისაკენ გაიგზავნა თურმე. იაპონელებმა უნდა აიღონ რამდენიმე პოზიცია. დიდის ზარალის გამო იმათი ჯარი, ცოტა არ იყოს, სულით დაეცა. რუსის ჯარს ხელმძღვანელობს დაუღალავი გმირი გენერალი სტესსელი ციხის კომენდატ სმირნოვთან ერთად, რუსის ჯარი დაუღალავად მოქმედებს და ახალ სიმაგრეებს აგებს. სურსათი ბევრია. სამხედრო მასალა დიდხანს ეყოფად. ჯართან შესდგა მზვერავთა რაზმები, რომელნიც დიდის წარმატებით მოქმედებენ. მოკლულ იაპონელთა გვამები ჰაერს სწამლავს, რის გამოც იაპონელები სულით ეცემიან. რუსის ჯარი გულით არის მოწადინებული ხმელეთზე იაპონელებთან შეტაკებას. ჩინელების ანგარიშით, პორტ-არტურთან იაპონელებს 45,000 კაცი დაუკარგავთ, მაგრამ გაკეთებით-კი ბევრი ვერაფერი გაუკეთებიათ.

შანჰაი. (რეიტერი). მიღებულ ცნობათა თანახმად, რუსებს პორტ-არტურთან, რაც ხანი ალყა შემორტყმულია, მოუკლეს და დაუჭრეს ათი ათასი კაცი.

ტამბოვი. დიდის ამბით მიაკრეს ტარებს დროშები, რომელიც ებოძა შორეულ აღმოსავლეთში მიმავალ მცენისა და კირსანოვის პოლკებს.

ცინდაო. (რეიტერი). აქ გაჩერდა იაპონიის სათარეშო გემი «იაიამა».ამ გემიდან გადმოვიდა ნაპირზე პორტ-არტურში ნამყოფი გერმანიის საზღვაო აგენტი კაპიტანი გოფმანი,რომელმაც დასტოვა პორტ-არტური იმპერატორი ვილჰელმის ბრძანებით. იმ ნავს, რომელშიაც გოფმანი იჯდა, იაპონელები პორტ-არტურიდგან 30 მილის მანძილზე შეხვდნენ და კაპიტანი თავიანთ სათარეშო გემზედ გადაიყვანეს. ხმებია, ვითომ იაპონელებმა გოფმანის ქაღალდები ჩაიგდეს ხელშიო.

ჩიფუ 7 აგვისტო. (რეიტერი). ლიაოტეშანიდან 6 მილის მანძილზე იაპონელთა კონტრ-ნაღმოსანმა და 5 ნაღმოსანმა გასინჯა ორთქლმავალი გემი «პეჩილი». კონტრ-ნაღმოსნის უფროსმა 50 წუთს დაჰყო გემზე და ესაუბრებოდა ტიანძინიდან ჩიფუს მიმავალ იაპონიის კონსულს იჩჟუინს. პორტ-არტურიდან ისეთი ზარბაზნების გრიალი ისმოდა, რომ ლაპარაკი გასაჭირი გახდა. იაპონელმა აფიცერმა სთქვა, ჩვენებმა მეტად მძლავრად დაუშინეს ყუმბარები რუსის პოზიციებს და ამნაირად ემზადებიან, უმთავრეს იერიშისათვის, რომელიც 7 აგვისტოს მოხდებაო. კონსულმა ინჟუინმა სთქვა, იაპონელებმა საბოლოოდ შემოიკრიბეს ძალა დღევანდელ იერიშისათვისაო. წინად მომხდარი ბრძოლანი ამ იერიშისათვის მზადება იყოო. აქ ხმაა, რომ იაპონელები უკუაქციესო, თუმცა პორტ-არტურიდან არ მიუღიათ ცნობა, რომელიც ამ ამბავს ამართლებდეს.

ბერლინი. იაპონიის სამხედრო გემი, რომელსაც ტოგო უფროსობდა (არა ადმირალი ტოგო), პორტ-არტურთან ჩაიძირა ღამე, როცა სიმაგრეებს ზარბაზნებს უშენდნენ. რუსები მედგარს პასუხს აძლევდნენ.—ლიაოიანიდან ამბავი მოვიდა, რომ იაპონელები თავის მარჯვენა ფრთას უკან აწევინებენ და მუკდენს ემუქრებიანო. მარცხენა ფრთე კი მდინარე ლიაოხეს გაყოლებით მიდის წინ. რუსები თანდათან უკან იწევენ თავიანთ ბაზისაკენ, სადაც, ალბად, მედგარ წინაღმდეგობას გაუწევენ იაპონელთ.

მოსკოვი. დიდის მთავრინას ელისაბედ თეოდორეს ასულის განსაკუთრებულ კომიტეტს მოუვიდა განცხადებანი საქალაქო მმართველობათა, ერობათა, სავაჭრო ამხანაგობათა და კერძო კაცთაგან იმის შესახებ, რომ მზადა ვართ მივიღოთ დაჭრილები მოსავლელადაო.

კიევი. კიევის სამხედრო ოლქის ჯარის უფროსმა დაათვალიერა 300 მეომარი, რომელნიც თავიანთ ნებით მიდიან შორეულ-აღმოსავლეთს.

სტამბოლი. («კორესპ. ბიურ.»). პორტას ცნობის საპასუხოდ უცხოელ ჟანდარმთა აფიცრების მომატების შესახებ პირობით შეკრულ სახელმწიფოთა ელჩებმა განაცხადეს: ჩვენნი მთავრობანი თხოულობენ, რომ აღსრულებულ იქმნას გენერალ ჯიორჯისის თანაშემწეთა წინადადება ჟანდარმთა 6 ახალ აფიცრისა და 11 უნტერ-აფიცრის დანიშვნის შესახებ.

ბერდიანსკი. მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების გამო საბჭომ დაადგინა, დააარსოს ცესარევიჩის სახელობის სკოლა და აპატიოს ღარიბ მოქალაქეთ გადაუხდელი ფული—2 ათაი მან.

ორენბურგი. ორენბურგის ყაზახთა ჯარის ატამანმა წაუკითხა ჯარს უმაღლესი დეპეშა იმის შესახებ, რომ მემკვიდრე ცესარევიჩი დაინიშნა მთელის რუსეთის ყაზახთა ჯარის ატამანად. დეპეშა აღტაცებით იქმნა მიღებული.

ბუქარესტი. აქაურ ოფიციალურ გაზეთში დაბეჭდილია ცნობა რუმინიიდან საქონლის ყოველ გვარ საკვების გატანის აღკრძალვის შესახებ.

სიმბირსკი. მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების გამო ვაჭართა საზოგადოებამ დააარსა ცესარევიჩის სახელობაზე ხუთი სტიპენდია ვაჟთა სავაჭრო სკოლაში და ხუთი სტიპენდია ხელმწიფე დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის სახელობაზე—დედათა სკოლაში.

ბერლინი. პრინცი ჰენრიხ პრუსიელი ვილ-ჰელმზეეს მიდის იმპერატორ ვილჰელმთან, იქიდან პეტერბურგს გაემგზავრება, რათა დაესწროს მემკვიდრე ცესარევიჩის მონათვლას, როგორც იმპერატორ ვილჰელმის წარმომადგენელი.

8 აგვისტო.

პეტერბურგი. 7 აგვისტოს შორეულ აღმოსავლეთიდგან ოფიციალური ცნობები არ მოსულა.

გენერალ სტესსელის დეპეშა, პორტ-არტურიდგან, 3 აგვისტოს თარიღით: «ორი დღე იაპონელებს იერიში მოჰქონდათ „უგლოვოი მთაზე“,რომელიც ლუიზას ბუხტასთან არის, მაგრამ ყველა იერიში უკუქცეულ იქმნა. უგლოვოია, ვისოკაია და დივიზიონაია ისევ ჩვენს ხელშია. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. ბრძოლაში თავი ისახელა გენერალმა კონდრატენკომ, პოლკოვნიკმა ირმანმა, პოდპოლკოვნიკმა იოლშინმა, არტილერიის კაპიტანმა ანდრეევმა და მზვერავთა რაზმების უფროსმა. დღეს დილით ჩვენის მოწინავე რაზმების წინ გაჩნდა იაპონელთა მოციქული მაიორი იამაოკი. მაიორმა წერილი მოიტანა, რომელზედაც ხელი უწერიათ გენერალ ნოგისა და ადმირალ ტოგოს. ესენი წინადადებას გვაძლევდნენ, რომ ციხე უომრად გადაგვეცა იაპონელთათვის. რა თქმა უნდა, ეს წინადადება უარვყავით. ბედნიერი ვარ გაუწყოთ, რომ ჯარი კარგ გუნებაზეა და გმირულად იბრძვის».

პეტერბურგი. ბიულეტენი: «მისი უდიდებულესობა დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული და აგრეთვე მისი იმპერატორებითი უმაღლესობა მემკვიდრე ცესარევიჩი კარგადა ჰგრძნობენ თავს». ლეიბ-აკუშერი პროფესორი დმ. ოტტი, მისის უდიდებულესობის ლეიბ-ქირურგი ექიმი გირში. პეტერგოფი, 7 აგვისტო, 1904 წ.»

სტამბოლი. დიდმა ვეზირმა ფერიდფაშამ, რომელმაც თხოვნა შეიტანა თანამდებობიდან გადადგომის შესახებ, თავისი თხოვნა უკანვე წაიღო.

ჩიფუ. 9 აგვისტოს (საკუთ. კორესპ.). როგორც ჩინელების ნათქვამიდანა სჩანს, იაპონელებს 6 აგვისტოს მიუტანიათ იერიში პორტ-არტურზედ საღამოთი და 7 აგვისტოს დილითა, მაგრამ უკუ აქციეს დიდის ზარალითა, ვინემ 4 და 5 აგვისტოსა. ამბობენ ამ იერიშში გვარდიამ მიიღო მონაწილეობაო. ბრძოლის დროს იაპონიის გემებიც ესროდნენ ციხესა, მაგრამ ამაოდ. არც სიმაგრეებს და არც ქალაქს ზიანი არ მოსვლიათ. ამ ბოლოს დროს ეტყობა, რომ იაპონელებმა გული აჰყარეს ლიაოიანზე და მთელი ყურადღება პორტ-არტურს მიაქციეს.

შანჰაი. 7 აგვისტო (რეიტერი). ტაოტაიმ შეატყობინა რუსის კონსულს, თუ რუსის გემები წინადადებისამებრ არ გავლენ ნავსადგურიდგან, ან იარაღს არ აიყრიან დაუყოვნებლივ, მაშინ ჩინეთი თვით აჰყრის იარაღსა და მეზღვაურთ ჩარიცხავს ტყვეებად ომის გათავებამდე. რუსების თხოვნა, «ასკოლდის» ქვაბებს შევაკეთებთო, შეწყნარებულ არ იქმნა. ტაოტაი ამტკიცებს, «ასკოლდი» მოვიდა ორის კარგის მაშინითა და ორის ქვაბითა და ის ამ ნაირადვე უნდა გავიდეს ნავსადგურიდანაო. ტაოტაის ამნაირი საქციელი იმითი აიხსნება, რომ იაპონიამ განუცხადა ჩინეთს, თუ რუსებს მხარს მისცემ, მაშინ ჩინეთი იქნება პასუხის მგებელიო. ჩინეთიც თავიდან იშორებს პასუხის გებას ნეიტრალიტეტის დარღვევისას რუსეთის მხრივ. იაპონიის კონსულმა განაცხადა, «ასკოლდსა» და «გროზოვოის» შეუძლიანთ გავიდენ ნავთსადგურადან. რუსებს უნდათ, დრო მოიგონ, რომ საომრად დაამზადონ გემები. იაპონიის კონტრ-ნაღმოსანი ბუსუნგს მივიდა.

ჩიფუ. (რეიტერი). ნამდვილად იუწყებიან, რომ გუშინდელმა იერიშმა ფუჭად ჩაიარაო, მაგრამ გუშინ და დღეს კიდევ იყო იერიში პორტ-არტურზეო, სამის დღით გაგრძელდება კიდევ და იმედი აქვთ, ბრძოლა ციხის აღებით გათავდებაო. იაპონელებს იმდენი ჯარი ჰყავთ, რომ საიერიშოდ ყოველთვის 60 ათასი კაცი ეყოლებათო. 7 აგვისტოს იაპონელებმა დალნიში 4 ათასი კაცი გადმოსვეს. თუ საერთო იერიში ვერ მოხერხდება, მაშინ ხანგრძლივ ალყას შემოარტყმენ.

ტოკიო. (რეიტერი). იაპონიის მთავრობამ შეატყობინა «რეიტერის სააგ.» კორესპონდენტს თავის შეხედულობა «რეშიტელნის» შესახებ. ნაღმოსანმა «რეშიტელნიმ», რაკი თავი შეაფარა ჩიფუსა, დაარღვია ნეიტრალიტეტი და იაპონიას უფლება აქვს ჩიფუ ჩასთვალოს ნავსადგურად ერთ-ერთ მებრძოლის მხარისაო. განცხადება, რომ ვითომ «რეშიტელნი» იარაღ აყრილი იყო, ტყუილიაო. ამას გარდა «რეშიტელნიზე» მყოფნი რუსები უწინ დაეცნენ იაპონელებსა. იაპონია იმას ჩივის, რომ რუსეთმა დაარღვია ნეიტრალიტეტი.

ტვერი. დღეს დიდძალი ხალხის თანადასწრებითა, გუბერნიის მმართველის კამერგერის ხიტროვოს თანადასწრებითა, გადაიხადეს სამადლობელი პარაკლისი მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების გამო., ქალაქის საბჭოს დადგენილების თანახმად ხელმწიფე იმპერატორს გამოუცხადეს უქვეშევრდომილესი გრძნობანი ერთგულებისა ტვერის ქალაქისა და ითხოვეს ტვერის საქალებო კომერციულს გიმნაზიას დაერქვას სახელად «გიმნაზია ცესარევიჩ ალექსისა», გადასდეს 3 ათასი მან. თბილი ტანისამოსის და ფეხსაცმლის სასყიდლად შორეულ აღმოსავლეთის მხედართათვის და აპატიეს 2 ათასი მ. „ნედოიმკა“ ქალაქის ხალხსა.

არიოლი. კარაჩეევის ქალაქის საბჭომ მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების გამო დაადგინა უქვეშევრდომლესნი გრძნობანი ერთგულებისა გამოაცხადოს, 5 ათასი მ. «ნედოიმკა» ეპატიოს ხალხსა და მომავალ გემნაზიას დაერქვას ალექსის სახელი.

ხარბინი. მოვიდა კაუფმანის რაზმი სათნოების დათა და თან მოჰყვა რწმუნებული იალტის თავად-აზნაურთა წინამძღოლი პოპოვი.

პეტერბურგი. ბიულეტენი: ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული თავს სრულიად კარგა ჰგრძნობს, მშობიარობის პროცესი რიგზე მიდის, ჯანი ემატება. თვით უავგუსტოესი მშობელი მემკვიდრე ცესარევიჩს რიგზედ ასაზრდოებს.

ჩიფუ. (რეიტერი). დეპეშა ადმირალ უხტომსკისა. რომელმაც მიიღო ესკადრის უფროსობა ადმირალ ვიტგეფტის სიკვდილის შემდეგ, იუწყება, რომ 28 ივლისს იაპონელებმა 60 ნაღმიანი ყუმბარა ისროლეს, ხოლო უშედეგოდ. დაჭრილია 50 აფიცერი და 280 დაბალი ჯარის კაცი. მძიმედ დაჭრილი არავინ არის. იაპონელები არა სცდილან ლიაოტეშანის დაჭერას. მარჯვენა ფრთა «გოლუბინი» ბუხტაშია. რუსის მეციხოვნეთა რიცხვი 28,000-მდეა, რომელნიც გამწკრივებულ არიან 12 მილის მანძილზე.

კუნძულ მიაღოდგან ტენშანს მოსულნი ამბობენ, 7 აგვისტოს ვნახეთ, რომ ხუთი იაპონელთა გემი ორს რუსის გემს მისდევდა აღმოსავლეთისკენაო.

8 აგვისტოა: პორტ-არტურს დღე და ღამე განუწყვეტლივ ყუმბარებს ესვრიან. ორთავე მხარეს მრავალი მსხვერპლია. 9 აგვისტოს იაპონელებმა „გოლუბინი“ ბუხტიდგან განდევნეს რუსები და დაიჭირეს

---

*) უმჯობესია საყდარი, როგორც ზემოთაც შევნიშნეთ. რედ.

ჩრდილო ფორტი დასავლეთის სიმაგრეებისა. შიდა სიმაგრეები იაპონელებმა ვერ აიღეს და ვერც ფორტების ბუხტა, რადგან რუსის არტილერიამ არ მიუშვა.

შანჰაი. (რეიტ.). იაპონელების ნაღმოსანმა საჩქაროდ გაიარა ვუხუნისკენ. მას თან მისდევდა ამერიკელების ნაღმის მმუსვრელი «ჩონსეი». როდესაც იაპონელების გემი გაჩერდა, ამერიკელებისამ ზარის ხმა ასტეხა და ნავსადგურის შესავალში გაჩერდა შანჰაიდგან 60 მილის მანძილზე იაპონელების ნაღმოსანი და ორი კრეისერი მოჩანს გემ «გაიპინზედ» მოსულმა სთქვა, იაპონელების ესკადრა ვნახეთ ცეცხლ ჩამქრალი გუძლაფის კუნძულებთან.

რუსეთის კონსული გადაჭრით უარჰყოფს, გემების „ასკოლდისა“ და „გროზოვოის“ იარაღს ვერ ავყრითო. ტაოტაი ამტკიცებს, რუსები ყურადღებას არ აქცევენ ჩემს თხოვნას, რომ ჩინეთს არა აქვს საშვალება პატივისცემა დაიმსახუროს რუსეთისა. დოკი, სადაც უნდა შეაკეთონ «ასკოლდი» ინგლისელებისაა.

ცინდაო. (რეიტერი). გემ «იადამაცას» კაპიტანმა განაცხადა, იაპონელებს იმედი აქვთ ჩაიგდონ ხელთ ფლოტი პორტ-არტურში ამ რამდენისამე დღის განმავლობაში.

ვარშავა. 9 აგვისტოს აქაური უფროსი მოვიდა.

დარმშტადტი. პრინცი ბატერბერგელი წავიდა პეტერბურგს ინგლისის მეფის წარმომადგენლად მემკვიდრის ცესარევიჩის ნათელღების დროს დასასწრებლად.

დროებით რედაქტორი **ზრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი:

პეტერბურგის ბირჟა

3 აგვისტოს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	$37,52\frac{1}{2}$
ბირჟის დისკონტი	$6-7\frac{1}{2}\%$
4% სახელმწიფო რენტა	$92\frac{1}{8}$ ნის. გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	$88\frac{7}{8}$ წვ. გაყ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	387 წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	298 წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	$255\frac{1}{4}$ ნის. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4\frac{1}{2}\%$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
$4\frac{1}{2}\%$ ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	$90\frac{1}{8}$ წვ. გაყ.
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

ამ წლის 18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23. წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.) 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.)

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს 50 წ.); საქონ. სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ბათუმიდან: 1) წრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.), საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5. შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 საღამოს 1 ს. 10 წ. (2 ს. 8 წ.)

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ,).

შორაპნამდე: № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახაზინო საავადმყოფო,—მიხეილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო—მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვიჩი

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა.—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანცი.

კუკიისა—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

თვალების სამკურნალო—კრილოვისა და ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბერმანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სართულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩევას. სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ექიმი ქალი პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის—უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავშე-საფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

სია

ტფილისის ქალაქის სასანიტარო-აღმასრულებლ კომისიაში ჩარიცხული ექიმებისა, რომლებმაც უფასო სამკურნალო დახმარება უნდა გაუწიონ ღარიბ ავადმყოფთ

ავადმყოფმა უნდა მიჰმართონ საექიმო დახმარებისათვის რომელსამე ქვემოდ-აღნიშნულ ექიმთაგანს, მაგრამ სასურველია მიჰმართონ უფრო მახლობლად მყოფს.

ალადაშვილი, ალექსანდრე სტეფანეს ძე. იღებს ავადმყოფებს დილით 7 საათ.—9 საათ. საღამოთი 8 საათ.—9 საათ.

ადრესი: ეგზარხოსის მოედანი, სინოდალურ კანტორაში.

გედალინი, ალექსანდრე გიორგის ძე. 10 საათ.—$11\frac{1}{2}$ საათ. (ცენტრალურ სამკურნალოში), საღამოთი 5 საათ.—7 საათ. სახლში, ბარონის ქუჩა, ავეჯეულის რიგი. სახლი თამამშევისა № 16.

გეცელი, ოტტო გიორგის ძე. დილით 7 საათ.—9 საათ., საღამოთი 7 ს.—9 საათ.

მიხეილის ქუჩა, მიხეილის საავადმყოფოს შენობაში.

ჯანიბეგოვი, ესტატე ნიკიტის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 7 ს.—9 ს.

სოლოლაკში, ამაღლების ქუჩა, სახლი № 17

ელჩიევი, მნაცაკან რომანოზის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 5 ს.—7 ს.

მიხეილის ქუჩა, სახლი № 111.

ზაბლუდოვსკი, იოსებ მათეს ძე. დილის 10 ს.—$11\frac{1}{2}$ ს. (კუკიის ქალაქის სამკურნალოს განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—8 ს., სახლში:

გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 40

კასუმოვი, ნიკოლოოზ გერასიმეს ძე. დილით 10 ს.—$11\frac{1}{2}$ ს., (ქალაქის სამკურნალოს კუკიის განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—7 ს.

ალექსანდრეს ქუჩა № 36.

მირზაევი, მიხეილ ივანეს ძე. დილით 7 ს.—9 ს. საღამოთი 7 ს.—9 ს.

კრასნოგორსკის შესახვევი № 8.

საათსაზოვი, ივანე თომას ძე. დილით 8 ს.—9 ს., საღამოთი 4 ს.—5 ს.

ალექსანდროვის ქუჩა № 6.

თათევოსიანი, ტიგრან მათეს ძე. დილით 9 ს.—1 ს. (ქალაქის სამკურნალოს ხარფუხის განყოფილებაში), 6 ს.—8 საათ. საღამოთი სახლში.

კრწანისის ქუჩა, სახლი თაიროვისა № 11

ხატისოვი, ნიკოლოოზ დავითის ძე. დილით 7 ს.—8 ს. და საღამოთი 4 ს.—6 ს. აგრეთვე დილით 10 ს.—12 ს. სამკურნალოს ავლაბრის განყოფილებაში.

ბებუთოვის ქუჩა № 27.

შახ-აზიზოვი, არტაშეს ივანეს ძე. დილით 10—12 ს., საღამოთი $7\frac{1}{2}-8\frac{1}{2}$ ს. გონჩარნი ქუჩა, № 30 (ჩუღურეთში).

შჩერბინინა, ანნა ივანეს ასული. დილით 10—12. (ქალაქის სამკურნალოს დიდუბის განყოფილებაში), საღამოთი 4—6 ს. სახლში,—ბაქოს ქუჩა, სახლი № 7.

განცხადებანი

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

ДЕНИСОВСКИЙ

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
„ოდონტინი“ მ. ვ. ლებედევის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბეზერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საათფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.



გამოვიდა და ისყიდება ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში
НАРОДНАЯ МЕДИЦИНА
въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა,
ფასი 70 კაპ.
(2—141—2).

ბუხჰალტერი-სპეციალისტი
(წელიწადი მეორე)

ამზადებს წელს ბევრად გადიდებულ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, საზოგადო სავაჭროსა და ბანკისასა, კომერციულ არითმეტიკასა, ფინანსიურ გამოანგარიშებასა, არითმეტიკას სანგარიშო ჩოთქით, კომერციულ კორესპონდენციასა, ვაჭრობის ისტორიასა, ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებს.

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის)

სწავლა ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე უქმეების გარდა. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელის კურსისა 60 მან.

სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1904 წ.

ადრესი: ტფილისი, **ალ. გ. საათაშვილს,** მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17, მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე საღამოს 4-დამ 9 საათამდის, კვირაუქმეობით-კი დილის 9-დან 1 საათამდის და საღამოს 4-დან 9 საათამდის.

ვამზადებ ზემო აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 8 დან 9-საათამდის შეეძლებათ სწავლა და ამასთანავე თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ საზოგადო არითმეტიკაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. ფასი მორიგებით და შეღავათიანად. სწავლის გათავების შემდეგ ატტესტატი მიეცემათ.

(14—266—5). ალ. გ. საათაშვილი.


Б. М. АЛЕКСАНДРЪ III ИМП. И САМОД. ВСЕРОСС.
ЗА УСЕРДIЕ

ვერცხლისა

Б. М. АЛЕКСАНДРЪ II ИМП. И САМОД. ВСЕРОСС.
ЗА УСЕРДIЕ

ოქროსი



ტფილ. გამოფენა.

ИЗЪ ЗАВОДА
А. А. ТУТАЕВА
РАЗНЫЯ
МАСЛЯННЫЯ
КРАСКИ

ქარხანა
ზეთიანის საღებავებისა (კრასკებისა)
ა. ა. თუთაევისა

თხუთმეტ ამ თვის ივლისიდამ შემოკვეთით ვამზადებ რკინის სახურავებისთვის და იატაკებისთვის (ДЛЯ ПОЛОВЪ) ყველა ხაირს ფერს ზეთით გადასილს საღებავებს (краски). ვპირდები ყველას ჩემ ნაცნობს და უცნობს, რომ საღებავები იქნება უტყუარი და მაღალის ღირსების მასალით შეზავებული *), «ბელილა» და სხვა საღებავებიც გვექნება დამზადებული; ვინც მოისურვებს, ხელოსნებსაც გაუგზავნი, როგორც ტფილისში ისე სხვა ალაგას. მე თითონაც დაუხედამ საქმეს, თუ საჭირო იქნება. აგრეძვე ვიღებ სახლების აშენებას, მყავს ყველანაირი ხელოსნები, ეკკლესიის სახურავებისთვის სამღვდელოებას დავუთმობ პრეისკურანტის ფასებზედ ფუთი მანეთ ნაკლებ, საქონელი ფასდადებითაც გაიგზავნება 50% ბეის მიღებით. ჩემი ადრესი: ტფილისს, ადოლფ თუთაევი, ელისაბედის ქუჩა, დიდუბეში, საკუთარ სახლებში.

*) რადგანაც საღებავები ძნელი საცნობია და წასმის შემდეგ მალე ფუჭდება, ამისათვის მაღალის ღირსების მასალით შეზავებული საღებავი ერთი ხუთად მეტს გასძლებს. (20—11)

ქალაქი იურევი, ლიფლიანდიის გუბერნიაში.

კერძო საშუალო სასწავლებელი I რიგ. გუგო ტრეფნერისა

მოსამზადებელის კლასითა და **პანსიონით.**

ამზადებენ შეგირდებს სხვა სასწავლებლებში შესასვლელად, უმაღლეს სასწავლებლებში ეგზამენების დასაჭერად და სამხედრო სამსახურისათვის. შეგირდები მიიღებიან ყოველ დროს, სწავლების ლის პირველსაცა და მეორე ნახევარსაც. წლოვანება არ აბრკოლებს შეგირდის მიღებას. ფასი სწავლისა და შენახვისათვის 110 მ. ნახევარს წელიწადში. ძმებისათვის ფასი ნაკლებია. დაიწყება სწავლა 16 მარიამობისთვეს 1904 წ. არზის შემოტანა შეიძლება ყოველ დროს. უფრო დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება პირადად და წერილობით მიიღოს მსურველმა ქ. იურიევში (ლიფლ. გუბ.), საკუთარ სახლში, კონნაია ქუჩა, № 2.

ს.-პეტერბურგის კომპანია
„ნადეჟდა“
ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირ ის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

დაარსებულია 1847 წელს

მირითადი თანხა	1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა	2.664.808 მან.

დაზღვევის ოპერაციები.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან უძრავ და მოძრავ ქონებისა.

გ) დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო საგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350 ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის საგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას„**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის საგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6—45)

Дозволено цензурою Тифлисъ 9 августа 1904 г.
Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинарiи